სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით მაღალყელიანი ფეხსაცმლის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

(CPV 18800000)

ქ. გორი

2017 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის 9 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

2. ტექნიკური დავალება

2.1 **შესყიდვის ობიექტი:** – 600 წყვილი სამხედრო მოსამსახურის მაღალყელიანი ფეხსაცმელი (როგორც ცხელი, ასევე, ზომიერი კლიმატის პირობებისთვის).

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ტექნიკური მახასიათებელი
1	მაღალყელიანი ფეხსაცმელი	წყვილი	600	ფერი - უდაბნოსფერი (ბეჟი) ყელის სიმაღლე ქუსლის ჩათვლით 20-22 სმ; საზედაპირე ნამზადი - ტყავისა და პოლიესტერის (ბეჟი ზამშის) კომბინაცია; ტყავი - უმაღლესი ხარისხის 1,7-2,1 მმ სისქის ნატურალური ზამშის ტყავი; სარჩული - დუბლირებული აქაფებული პოლიურეთანის (პარალონი) ქსოვილი, რომელიც უზრუნველყოფს სითბურ დაცვას როგორც ცხელ, ასევე ცივ ამინდში; ფეხსაცმელში წყლის შესვლის ასაცილებლად იკერება ღამურის ფორმის ენა; მაღალყელიანი ფეხსაცმელი იკვრება 8 (რვა) წვრილი სტანდარტული და 6 (ექვსი) სწრაფი სისტემის ზონარსაყრელით; ზონარის სიგრძე - არანაკლებ 170 სმ; ძირი - ქუსლთან ერთდ ჩამოსხმული „ტეპის“ ძირი. ფეხსაცმელი და ძირი შეწებებულია ერთმანეთთან მაღალი ხარისხის წებოთი, შემდგომი თერმული დამუშავებით (დაპრესვა); საქუსლარი და ცხირქვედა თერმოგრანიტოლის; ძირითადი ღაბაში - ტექსონი; ჩასაფენი ღაბაში - ტენშემწოვი.

2.2 ელექტრონული ვაჭრობის რაუნდების დასრულების შემდეგ, შემსყიდველის უფლებამოსილი პირის წერილობითი მოთხოვნით, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის ნიმუში წარმოდგენილ ნიმუშებს უნდა ახლდეს შესაბამისი ექსპერტიზის/ლაბორატორიული დასკვნა, სადაც გარკვეული იქნება: ნატურალური ტყავის სისქე და სარჩულის მასალა არის თუ არა პოლიურეთანის (პარალონი) ქსოვილის.

2.3 წარმოდგენილი ნიმუში არ ექვემდებარება შემდგომ დაზუსტებას. პრეტენდენტის მიერ ნიმუშის წარმოუდგენლობა ან მისი შეუსაბამობა სატენდერო განცხადების ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას კანონმდებლობის შესაბამისად.

2.4 შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს შესაბამისი დაფასებით და შეფუთვით, ფეხსაცმლის ზომების შესაბამისი მარკირებით, გამოირჩეოდეს მაღალი ხარისხით და შეესაბამებოდეს მოთხოვნილ ტექნიკურ პირობებს.

2.5 საქონლის ექსპლუატაციის საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 თვეს მიწოდების მომენტიდან. საგარანტიო ვადის პერიოდში შესყიდული საქონელი სწორი მოხმარების პირობებში უნდა ინარჩუნებდეს თვისობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; უხარისხო, არასტანდარტული, დაზიანებების მქონე და ზომებთან შეუსაბამო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მომწოდებელმა ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, წუნის აღმოჩენის ნებისმიერ ეტაპზე, გონივრულ მაგრამ არაუმეტეს ერთი კვირის ვადაში უნდა გამოასწოროს ნაკლოვანებები ან შეცვალოს ისინი ახალი საქონლით.

2.6 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2017 წელს, პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-5 კილომეტრი. მისაწოდებელი საქონლის ზომები მიმწოდებელს გადაეცემა მოთხოვნასთან ერთად.

3. საქონლის ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ტრანსპორტირების ხარჯებს და წარმოდგენილი იყოს ეროვნულ ვალუტაში.

4. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

5. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საფასურის შესაბამისი დამადასტურებელი საგადახდო დოკუმენტის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ დაიშვება.

6. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

6.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაშიდაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტს მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, რისთვისაც 3 შემსყიდველის მიერ განესაზღვრება არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება უნდა მოხდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ანგარიშფაქტურით (ინვოისით).

6.2 ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. პრეტენდენტებმა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა წარმნოადგინონ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტაცია:

7.1 ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ დანართი №1-ს მიხედვით.

7.2 პრეტენდენტის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დანართი №2-ს შესაბამისად შედგენილი ხარჯთაღრიცხვა.

დანართი №1

დასახელება	
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტიური მისამართი	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
მომსახურე ბანკის დასახელება	
ბანკის კოდი	
ანგარიშსწორების ანგარიში	
ტელეფონის ნომერი	

ხელმოწერა და ბეჭედი ----------

დანართი №2

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ღირებულება	მწარმოებელი ქვეყანა
1	სამხედრო მოსამსახურის მაღალყელიანი ფეხსაცმელი		წყვილი	600			

ხელმოწერა და ბეჭედი ----------

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი № _____ 2017 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ - იურიდიულ ან ფიზიკურ პირი, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ „დღე“, „კვირა“, „თვე“.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, მის: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-5კმ. საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222; სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22; წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ------- სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ ----------, მისამართი ---------, საიდენტიფიკაციო კოდი: ----------, მომსახურე ბანკი:--------, ბანკის კოდი:-------, ანგარიშის №----------; წარმოდგენილი ---------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (SPA ----------) სამხედრო მოსამსახურის მადალყელიანი ფეხსაცმლის შესყიდვა cpv18800000 თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს -------- (თანხა სიტყვიერად) ლარს, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის საჭირო ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტი 2017 წელს, პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-5 კილომეტრი

5.2 შემსყიდველი ვალდებულია ყოველი მოთხოვნის გაკეთების დროს მიაწოდოს მიმწოდებელს საქონლის ზუსტი ზომები და რაოდენობები. ასევე, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების მე-4. მუხლში მითითებული თანხის ფარგლებში, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.4 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი ----------

6.2 კოორდინატორის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

6.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ მიღება-ჩაბარების გაფორმების საფუძველზე.
6.4 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.
6.6 ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.7 შესყიდვის ობიექტი მოწოდებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

8. ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ერთი მწარმოებლის მიერ წარმოებული, ქარხნული, გამოირჩეოდეს მაღალი ხარისხის შესრულებით. საქონლის ექსპლუატაციის საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 თვეს მიწოდების მომენტიდან. საგარანტიო ვადის პერიოდში, შესყიდული საქონელი სწორი მოხმარების პირობებში უნდა ინარჩუნებდეს თვისობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; უხარისხო, არასტანდარტული, დაზიანებების მქონე და ზომებთან შეუსაბამო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მომწოდებელმა ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, წუნის აღმოჩენის ნებისმიერ ეტაპზე, გონივრულ მაგრამ არაუმეტეს ერთი კვირის ვადაში უნდა გამოასწოროს ნაკლოვანებები ან შეცვალოს ისინი ახალი საქონლით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.
9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საფასურის შესაბამისი დამადასტურებელი საგადახდო დოკუმენტის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ დაიშვება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 6%-ისა.

14.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველი“ მხრიდან ხელშეკრულების 5.2 და 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის 0.2% ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 6% -ისა.

14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. კონფიდენციალურობა

17.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდება მათთვის საქმიანი ურთიერთობისას.

17.2 კონფიდენციალურობის დაცვის აღნიშნული მოვალეობა ძალაში რჩება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს.

სახელი, გვარი თანამდებობა	სახელი, გვარი თანამდებობა
----------	----------
ხელმოწერა, ბეჭედი	ხელმოწერა, ბეჭედი

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - სატენდერო წინადადების ფასი;
  - სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
  - სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
  - ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
  - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.